განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 28 დეკემბერი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 11 მარტი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკური ფილოსოფია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფილოსოფიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფილოსოფია და ეთიკა 0223
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ლაშხია -- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ბოჭორიშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე -- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ისტორიის მიმართულებით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში შეიქმნა ადამიანური ყოფიერების, საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების ფუნდამენტური საკითხების (ძალაუფლება და სოციალური მმართველობის პრინციპები, მმართველობის ფორმების საფუძვლების გენერაცია, საზოგადოების წევრების სოციალური მოვალეობების ჩამოყალიბება და სხვა) შესწავლის მიზნით. პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, დასაქმების ფართო არეალის მოთხოვნის საფუძველზე, მოამზადოს მკვლევარ-სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მუშაობას არამარტო აკადემიურ-სამეცნიერო სფეროში, არამედ მაღალი დონის სერვისის განხორციელებას პოლიტიკის ორგანიზების მიმართულებით, პოლიტიკური პროცესების და მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების ექსპერტულ-ანალიტიკურ შეფასებას, ახალი იდეების, კონცეფციებისა და პრაქტიკული მექანიზმების გენერირებას.
სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია, სწავლების ენა -- ქართული. პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება 60 კრედიტისაგან და შედგება: 1. დარგობრივი დისციპლინების მოდულისაგან (20 კრედიტი); 2. ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდულისაგან (12 კრედიტი); 3. მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდულისაგან (18 კრედიტი) და 4. არჩევითი სასწავლო კომპონენტების მოდულისაგან (10 კრედიტი).
პროგრამის განხორციელებას ემსახურება 8 აკადემიური პერსონალი (5 უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორია, ხოლო 3 მოწვეული. მოწვეულთაგან ორი უცხოელი პროფესორია). აღსანიშნავია, რომ ამ 8 პროფესორ-მასწავლებლებიდან 5 გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების, Zoom -ის გამოყენებით 2020 წლის 28 დეკემბერს. დღის წესრიგის მიხედვით გასაუბრება შედგა შემდეგ პროგრამაში ჩართულ მხარეებთან:

- ✔ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- ✔ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი
- ✔ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- ✔ პროგრამის ხელმძღვანელი
- ✔ სადოქტორო ნაშრომების ხელმღვანელები
- ✔ აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- ✔ სტუდენტები
- ✔ დამსაქმებელი

სადოქტორო პროგრამის შეფასება დისტანციური ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გაგრძელდა 10:00 საათიდან 19:00 საათამდე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით, პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტზე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის -- პოლიტიკური ფილოსოფია -- სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციებსა და რჩევებზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მათი არგუმენტირებული პოზიცია გარკვეული რეკომენდაციების მიმართ გათვალისწინებულ იქნა.

რეკომენდაციები

1. სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე უნდა იყოს ცხადი რომელი უცხო ენის ჩაბარება მოუწევს აპლიკანტს და რა ფორმით, შესაბამისად, პროგრამის აღწერაში მკაფიოდ გაიწეროს ევროპული ენების გამოცდის პროცედურა და ფორმატი;
2. პროგრამას დაემატოს მეტი არჩევითი კურსი, რომელიც დოქტორანტებს საკვლევი საკითხის ინტერდისციპლინურ ჭრილში განხილვაში დაეხმარება
3. დოქტორანტისთვის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ვალდებულებები იმდენად ბევრია, რომ ექსპერტების აზრით, დოქტორანტებისათვის პროგრამით

გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება 6 სემესტრის განმავლობაში რთული შესარულებელი იქნება;

4. თვალსაჩინო გახდეს რა შემთხვევაში იღებს დოქტორანტი 10 კრედიტს ბლოკ სემინარის გავლის შემდგომ (კონკრეტულად რამდენი თემის არჩევა უწევს სტუდენტს 10 კრედიტის მისაღებად);
5. მიზანშეწონილია მოხდეს "პრობლემური სემინარი - სადოქტორო კვლევა" და "სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა" სილაბუსების რევიზია.
6. უნივერსიტეტმა უნდა დახვეწოს და გაამდიდროს საბიბლიოთეკო მომსახურება და პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი წიგნადი ფონდი;
7. პროგრამის განხორციელების პერიოდში დოქტორანტების რაოდენობის გაზრდის პროპორციულად გაიზარდოს დოქტორანტების ხელმძღვანელების რიცხვი, რაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და დაცვის პროცედურის გამჭვირვალობის გარანტიც იქნება.
8. გაიზარდოს პროგრამაში აფილირებული პროფესორების (დარგის სპეციალისტების) რიცხვი, რომლებიც შეძლებენ კვალიფიციური ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტობის კანდიდატებს;
9. თვალსაჩინო და გამჭვირვალე გახდეს როგორც საერთაშორისო ბაზებზე წვდომა, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სისტემის მართვა.
10. საბიბლიოთეკო ფონდის განვითარებისათვის მეტი თანხების გამოყოფა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტებში (პროგრამის აღწერა და თვითშეფასების ანგარიში) ნარატივის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან (იგულისხმება აღწერა, სადაც ნახსენებია, რომ პროგრამა ორი ძველი სადოქტორო პროგრამის საფუძველზე შეიქმნა);
2. დაზუსტდეს უცხო ენის ვალიდური სერთიფიკატების სია;
3. დაზუსტდეს მიღების წინაპირობებში სამაგისტრო ხარისხის ის სფეროები, რომელიც მომიჯნავეა პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამისათვის;
4. პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან;
5. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის მიზანში პირველ პუნქტად წერია, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა ამზადებს მკვლევართა ახალ თაობას, რომლებიც შეძლებენ კონკრეტული თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში (საჯარო, კერძო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში) პრაქტიკული სამუშაოს ორგანიზებას/მართვას, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას, ბუნდოვანია ამ მიზნის განხორციელებისათვის მხოლოდ "მენეჯმენტის პარადიგმების" კურსის გავლაა სავალდებულო სტატუსით, მაშინ როცა სხვა პრაქტიკული აქტივობები არჩევითი სტატუსის მქონეა პროგრამაში.
6. გასწორდეს პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში არსებულ დოკუმენტებში როგორც ტექნიკური შეცდომები, ასევე შინაარსობრივი საკითხები პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად;

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

--

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მასში გათვალისწინებულია როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხი. პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზნები მოიცავს პოლიტიკური ფილოსოფიის დოქტორის, როგორც მეცნიერ-ანალიტიკოსის დასაქმების არეალს, პოლიტიკური ფილოსოფიის მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებას, ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ახალი ცოდნის გაზიარების უნარსა და ისეთი ქმედითი ორგანიზაციული სისტემის შექმნას, რომელიც საფუძველს შექმნის სტუდენტის, როგორც პოლიტიკური დარგის მკვლევარის ლიდერად ჩამოყალიბებისათვის. „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების ფორმირების პროცესთან, შესაბამისად, უნივერსიტეტის მისიამ თავის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად განსაზღვრა საკაცობრიო ცოდნის დაცვა და შემდგომი განვითარება, ახლის შექმნა და გაზიარება, როგორც მეცნიერების განვითარების, ისე საზოგადოების ინტელექტუალიზაციის (ფართო გაგებით) მიზნებისთვის. ამ კონტექსტში, პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის განკუთვნილია მეცნიერ-ანალიტიკოსთა ახალ თაობის მოსამზადებლად მაღალი სამეცნიერო, აკადემიური და მმართველობითი იერარქიისათვის, შრომის ბაზრის იმ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ფორმირებასა და ინფორმაციული საზოგადოების განვითარებასთან. ამ კონტექსტში პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზნებია: 1. მოამზადოს პოლიტიკური ფილოსოფიის მკვლევართა ახალი თაობა, ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც შეძლებენ საერთაშორისო და ლოკალურ დონეზე წარმოქმნილი ფილოსოფიური და პოლიტიკური მოვლენების/გამოწვევების მეცნიერულ ანალიზს, შეფასებას და არგუმენტირებული რეკომენდაციების შემუშავებას; მაღალკვალიფიციური ანალიტიკური, საკონსულტაციო, სამეცნიერო-პედაგოგიური და, კონკრეტული თანამდებობრივი

კომპეტენციის ფარგლებში (საჯარო, კერძო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში) პრაქტიკული სამუშაოს ორგანიზებას/მართვას, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას.
2. უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით, პოლიტიკური ფილოსოფიის მეცნიერული მემკვიდრეობის კონტექსტში, გააფართოოს სტუდენტების თეორიული ცოდნა თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით, მოახდინოს მისი ინტერდისციპლინარული განხილვა საკვლევ საკითხებთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკის შემუშავება, იმპლემენტაცია და შეფასება ხდება.
3. განუვითაროს სტუდენტებს კომპლექსური ჰიპოთეზების ფორმირების უნარი, მოახდინოს არსებული კვლევითი მეთოდების ფართო სპექტრის ოპერაციონალიზაცია და ჩამოაყალიბოს ახალი კვლევითი მეთოდოლოგიები კვლევის მიზნებთან მიმართებით, შესაბამისად, გამოუმუშავოს ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული მეცნიერული კვლევების დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარი პროფესიული და აკადემური/სამეცნიერო ეთიკის პრინციპების დაცვით.
4. უზრუნველყოს მომავალ მკვლევართა მაღალი სამეცნიერო-საკომუნიკაციო აქტივობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ახალი ცოდნის გასაზიარებლად, როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის მეცნიერების განვითარების, ისე ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ფორმირებისათვის, მოამზადოს სტუდენტები აკადემიურ ჯგუფებთან ეფექტური კომუნიკაციისათვის სასწავლო-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ინსტრუმენტების გამოყენებით.
5. განავითაროს ქმედითი ორგანიზაციული სისტემა, რომელიც საფუძველს შექმნის სტუდენტის, როგორც პოლიტიკის დარგის მკვლევარის ლიდერად ჩამოყალიბებისა და ამ პოზიციის მუდმივად შენარჩუნებისათვის ცოდნისა და კვლევის ფარგლების სისტემატურად გაფართოების, განახლებისა და სრულყოფის გზით“.

უნივერსიტეტის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში წერია, რომ “პოლიტიკური ფილოსოფიის წარმოდგენილი პროგრამა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ორი სადოქტორო პროგრამის -- ფილოსოფიის და პოლიტიკური მეცნიერების -- გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა” (განახლებული თვითშეფასების ანგარიში, გვ.7) ამ ჩანაწერის გამო, გართულდა როგორც პროგრამის მიზნის, შედეგისა და სწავლის შედეგების შეფასება, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის მართვა, რადგან გასაუბრებების დროს ცალსახად აღინიშნებოდა, რომ პროგრამა იყო ახალი და გათვლილი იყო ახალი სტუდენტების მოზიდვისა, ახალი მიზნებისა და შესაბამისი შედეგების მიღწევისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა
- უნივერსიტეტის მისია
- ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტრატეგია
- უნივერსიტეტის წესდება
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის რექტორთან და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან.

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტებში (პროგრამის აღწერა და თვითშეფასების ანგარიში) ნარატივის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან (იგულისხმება აღწერა, სადაც ნახსენებია, რომ პროგრამა ორი ძველი სადოქტორო პროგრამის საფუძველზე შეიქმნა);

○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

+ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ „დოქტორანტი შეძლებს: სისტემურად/კრიტიკულად გაიაზროს და ახსნას პოლიტიკურ ფილოსოფიაში დამკვიდრებული მეცნიერული მოსაზრებები, თეორიები და მიდგომები, განსაზღვროს, სფეროს ფარგლებში დაგროვილ ცოდნასთან, უახლესი მიღწევებისა და აღმოჩენების ინტეგრაციის შესაძლებლობა, დააკავშიროს ის საკუთარ კვლევით პრობლემასთან და ჩამოაყალიბოს ფართო ინტერდისციპლინური ან მულტიდისციპლინური კონტექსტი სადოქტორო კვლევის განხორციელებისათვის.“

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინსტიტუციური სისტემა, რომელიც გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას ამ პროცესში, კერძოდ: პროგრამის კორექტირების პროცესს ორგანიზებას უწევს პროგრამის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან, როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ისე სტუდენტები. კომიტეტის მუშაობის ფარგლებში მიმდინარეობს პროგრამის განხორციელების ანალიზი და ახალი პროექტების განხილვა. სამუშაო პროცესში კონსულტაციები მიმდინარეობს სკოლის ფარგლებში არსებულ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის წევრებთან, მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურთან, რომელიც ამზადებს ბაზრისა და სტუდენტთა შეფასებების კვლევის ანგარიშებს.

უნივერსიტეტში სტუდენტებთან სკოლის მენეჯმენტის შეხვედრების დროს, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიმოხილვა. დეკანის საათის ფარგლებში კი პერიოდულად იხილება პროგრამის ცალკეული კომპონენტი სტუდენტთა ინტერესის შესაბამისად. გარდა ამისა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამების კატალოგი, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის პროგრამის შესახებ.

სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტში დეტალურად არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა; დადგენილია ზოგადი წესი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასების და, შესაბამისად, მიღებული განათლების აღიარებისათვის; განსაზღვრულია ერთიანი სისტემური სტრუქტურა შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის; ჩამოყალიბებულია აკადემიური ხარისხისა და დიპლომის კატეგორიის მინიჭების სქემა; მოცემულია პროცედურა სტუდენტის შემეცნებითი რესურსის მაქსიმალურად გამოვლენისა და სწავლის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად.

შეფასების სისტემა, ძირითადად, დაყოფილია ხუთკვირეულად. ანუ ყოველ ხუთ კვირაში ერთხელ ხდება შუალედური შეფასება, მაგრამ დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასების პერიოდულობა განსხვავებულია.

სამეცნიერო კვლევის შედეგების შეფასების სისტემა განსაზღვრულია, აგრეთვე, სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტებისა და არჩევითი მოდულის სტანდარტებში. ყველა სამეცნიერო ნაშრომი განიხილება კოლეგიურ სხდომაზე (კოლოკვიუმის შემთხვევაში ე.წ. დეკანის მიერ შექმნილი კომისიის სხდომაზე, ხოლო დისერტაცია - ფასდება საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის ღია სხდომაზე).

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებეთა მოთხოვნების ანალიზი
- პროგრამის შეფასების გეგმა
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

+ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	+			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მიხედვით ა) აპლიკანტად რეგისტრაციისათვის აუცილებელია მაგისტრის ან მასთან გათანაბარებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ არ არის არანაირი შეზღუდვა მაგისტრის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. კონკურსისთვის აპლიკანტი ამზადებს სავარაუდო საკვლევი თემატიკის მიმოხილვას, რომლესაც თან უნდა ერთვოდეს პროფესორის თანხმობა მომავალი დოქტორანტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევის თაობაზე. იქვე აღნიშნულია, რომ თუ აპლიკანტს არ ჰყავს შერჩეული ხელმძღვანელი, უნივერსიტეტი თავად უზრუნველყოფს მეცნიერ-ხელმძღვანელის შერჩევას სტუდენტთან შეთანხმებით.

ბ) სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის პროცედურა შედგება ორი კომპონენტისგან:
რეფერატის ან გამოქვეყნებული ნაშრომის (უახლოესი 5 წლის ფარგლებში) დაცვა საგამოცდო-საექსპერტო კომისიის წინაშე, რომლის დროსაც ხდება თეორიებსა და კვლევებზე დაფუძნებული დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნისა და კვლევითი კომპეტენციის შეფასება.
გ) ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდა (აუცილებლობის შემთხვევაში, კონკრეტულ საგამოცდო ენას განსაზღვრავს აკადემიური პროგრამა).

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა
- სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი
- http://gruni.edu.ge/menu_content/index/406
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან.

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

1. სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე უნდა იყოს ცხადი რომელი უცხო ენის ჩაბარება მოუწევს აპლიკანტს და რა ფორმით, შესაბამისად, პროგრამის აღწერაში მკაფიოდ გაიწეროს ევროპული ენების გამოცდის პროცედურა და ფორმატი;

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
1. დაზუსტდეს უცხო ენის ვალიდური სერთიფიკატების სია;
2. დაზუსტდეს მიღების წინაპირობებში სამაგისტრო ხარისხის ის სფეროები, რომელიც მომიჯნავეა პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამისათვის.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
არ იკვეთება
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

+ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების ერთობლიობაა. პროგრამა ითვალისწინებს 3 წელს/ 6 სემესტრს, სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს 60 კრედიტს.

ა) დარგობრივი დისციპლინების მოდული (20 კრედიტი)

ბ) ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდული (12 კრედიტი)

გ) მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდული (18 კრედიტი)

დ) არჩევითი სასწავლო კომპონენტების მოდული (10 კრედიტი)

პროგრამის აღწერის დოკუმენტის VIII პუნქტში, სადაც პროგრამის სტრუქტურასა და კვალიფიკაციას დაწვრილებით ვეცნობით წერია, რომ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

ა) საკუთრივ სადისერტაციო ნაშრომს (120 კრედიტი);

ბ) ორ კოლოკვიუმს, რომლებიც გულისხმობენ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადებას სამეცნიერო სტატიისა (ქართულ ენაზე) და სამეცნიერო მოხსენების ფორმატით (ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე).

გ) სამეცნიერო არჩევითი მოდულით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას - სტატიის გამოქვეყნება სართაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან სამეცნიერო პრაქტიკის გავლა ადგილობრივ, ან უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

დ) ერთ სამეცნიერო სტატიას რეფერირებად გამოცემაში (ქართულ ენაზე).

ე) ერთ სამეცნიერო მოხსენებას/თეზისს საერთაშორისო ფორუმის კრებულში ან ელექტრონულ მატარებელზე, პირადი მონაწილეობის დადასტურებით (უცხოურ ენაზე).
ვ) ერთ სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში (უცხოურ ენაზე).
დისერტაციის დაცვის წინაპირობა, გარდა ზევით წარმოდგენილი სამეცნიერო აქტივობებისა, გულისხმობს:
ა) პოპულარულ სტატიას ელექტრონულ ან მატერიალურ მატარებელზე, ან ბლოგებს (5-6 ბლოგი), ან ელექტრონული მედიით გამოსვლას საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხზე, ან პოპულარული ლექციების ციკლის ჩატარებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების ცოდნის გაფართოებას, ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის პროფესიული განვითარების/გადამზადების ტრენინგების ორგანიზებას/წაყვანას.
სადოქტორო პროგრამას მთლიანობაში თუ შევხედავთ (მიღების წინაპირობები, საასწავლო კურსები, კვლევითი კომპონენტის ვალდებულებები), აშკარაა, რომ პროგრამას გაუჭირდება საბოლოო შედეგზე გასვლა, თუ ინტერდისციპლინური კვლევებისთვის კონკრეტული სალექციო კურსები (არჩევითი ხასიათის) არ დაემატა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამაში ძალიან ბევრია სამეცნიერო/კვლევითი ვალდებულებები, რაც კიდევ სხვა ვალდებულებეთან ერთად დისერტაციის დაცვის წინაპირობადაა მიჩნეული.
უნდა აღინიშნოს, რომ გაურკვეველია სასწავლო კომპონენტში მოცემული დარგობრივი სალექციო ბლოკ-სემინარებისათვის კრედიტების მინიჭების წესი. როგორც სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან საუბარში გაირკვა, ბლოკ-სემინარში წარმოდგენილია რამოდენიმე თემა, რომლიდან დოქტორანტი ირჩევს ერთს, რამდენიმეს ან ყველას. ნებისმიერ შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება 10 კრედიტი.
რაც შეეხება მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდულს, მისი მოცულობა საკმაოდ დიდია.
მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეშვიდე თავში, სადაც გაწერილია უმაღლესი განათლების საფეხურები, ვკითხულობთ - „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. (მუხლი 46)
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა (დანართი 1.1)
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 7)
- კურიკულუმის რუკა (დანართი 1.5)
- http://gruni.edu.ge/schools/index/1442824617
- ინტერვიუს შედეგები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

1. პროგრამას დაემატოს მეტი არჩევითი კურსი, რომელიც დოქტორანტებს საკვლევი საკითხის ინტერდისციპლინურ ჭრილში განხილვაში დაეხმარება
2. დოქტორანტისთვის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ვალდებულებები იმდენად ბევრია, რომ ექსპერტების აზრით, დოქტორანტებისათვის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება 6 სემესტრის განმავლობაში რთული შესარულებელი იქნება;

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

+ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ ორი ბლოკ-სემინარი (10-10 კრედიტი), რომელთაგან ერთი ქართულენოვანია, ხოლო მეორე უცხოენოვანი. სტუდენტს აქვს უფლება თავად აირჩიოს კონკრეტული პროფესორის მიერ წარმოდგენილი თემა/პრობლემა, ან თვითონ მოითხოვოს განსხვავებული თემის შემოტანა/ განხილვა. ზოგადი კომპეტენციის განმავითარებელი დისციპლინების მოდული გულისხმობს:

სალექციო კურსი - მენეჯმენტის პარადიგმები - უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სავალდებულო დისციპლინაა და, შეიძლება ითქვას, ამ პროგრამების ექსკლუზიური კომპონენტია, რომელიც ზალცბურგის სემინარის (2-5 თებერვალი 2005) რეკომენდაციების გათვალისწინებით იქნა შემუშავებული. ის პირველად, 2011 წელს იქნა შეტანილი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებში და გულისხმობს იმ შედეგების მიღწევას, რომელიც ხელს შეუწყობს დოქტორანტების, როგორც დარგის ლიდერების, სამეცნიერო თუ სხვა სახის ჯგუფების/დაწესებულებების მართვის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას შრომის ბაზრის მრავალმხრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მეთოდოლოგიური დისციპლინების მოდული მიმართულია კვლევის მეთოდოლოგიის ფართოდ შესწავლისათვის.

სადოქტორო პროგრამაში შემავალი სალექციო კურსების ღრმა შესწავლამ დაგვანახა, რომ სალექციო კურსებში -- "პრობლემური სემინარი - სადოქტორო კვლევა" (8 კრედიტი) და "სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა" (10 კრედიტი) შეიმჩნევა რიგი არამიზანშეწონილი გადაფარვები. ასევე აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიური კურსების ჯამური მოცულობა (18 კრედიტი) ძალიან ბევრია, მითუმეტეს მაშინ, როცა მიღების წინაპირობად არის განსაზღვრული დარგისა და კვლევის მეთოდოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს ისეთ კვლევით აქტივობებს, როგორიცაა კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; ახალი იდეების განვითარება; ახალი ცოდნის გენერირება; სამეცნიერო კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება და სამეცნიერო ნაშრომის სხვადასხვა ფორმატით სტრუქტურირება;

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა
- კურიკულუმის რუქა
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

- ინტერვიუს შედეგები პროგრამაში წარმოდგენილი სალექციო კურსის ლექტორებთან

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

1. თვალსაჩინო გახდეს რა შემთხვევაში იღებს დოქტორანტი 10 კრედიტს ბლოკ სემინარის გავლის შემდგომ (კონკრეტულად რამდენი თემის არჩევა უწევს სტუდენტს 10 კრედიტის მისაღებად);
2. მიზანშეწონილია მოხდეს "პრობლემური სემინარი - სადოქტორო კვლევა" და "სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა" სილაბუსების რევიზია;

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის მიზანში პირველ პუნქტად წერია, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა ამზადებს მკვლევართა ახალ თაობას, რომლებიც შეძლებენ კონკრეტული თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში (საჯარო, კერძო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში) პრაქტიკული სამუშაოს ორგანიზებას/მართვას, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას, ბუნდოვანია ამ მიზნის განხორციელებისათვის მხოლოდ "მენეჯმენტის პარადიგმების" კურსის გავლაა სავალდებულო სტატუსით, მაშინ როცა სხვა პრაქტიკული აქტივობები არჩევითი სტატუსის მქონეა პროგრამაში.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

+	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა სხვადასხვა ფორმითა და პლატფორმებით უზრუნველყოფს სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. იქნება ეს კონკრეტული მეთოდოლოგიური სალექციო კურსების მოსმენა თუ სამეცნიერო სტატიისა და მოხსენების მომზადება და გამოქვეყნება რეფერირებად გამოცემაში (მათ შორის, ერთი უცხოურ ენაზე); სამეცნიერო პრაქტიკის გავლა ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში, პრაქტიკა სკოლაში ან უნივერსიტეტში ასისტენტის პოზიციაზე.

ონლაინ ვიზიტის დროს საშუალება მოგვეცა გვენახა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაცული სადისერტაციო ნაშრომები. ოთხი სადისერტაციო ნაშრომიდან ორის თანახელმძღვანელი იყო უცხოელი პროფესორი. სადისერტაციო ნაშრომები აკმაყოფილებდნენ სადოქტორო საფეხურისთვის შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სამწუხაროდ, ვიზიტისას არ მოგვეცა შესაძლებლობა გავსაუბრებოდით კურსდამთავრებულებს, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ სტუდენტებმა კვლევითი საქმიანობა განახორციელეს საზღვარგარეთ არსებულ კვლევით ცენტრებში (გერმანია, პოლონეთი).

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო კონფერენციის მასალები
- მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

არ იკვეთება წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ იკვეთება არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა + შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკური ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა: ლექცია, ბლოკ სემინარი, პრობლემური სემინარი, რეფერატი, ქეისი, დისკუსია, პრეზენტაცია, რეცენზია, ინდივიდუალური სამეცნიერო მუშაობა, მოდელირებული კვლევის სავარჯიშო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსებით სწავლება, კონსულტაცია და სხვ. ამ მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. სადოქტორო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების სადოქტორო საფეხურს და კურსის შინაარსს; როგორც სტუდენტებთან გასაუბრების დროს გაირკვა, უნივერსიტეტში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი, პროფესორ-მასწავლებლები ითვალისწინებენ სტუდენტის ინტერესებს და ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის/სასწავლო კურსების მიხედვით სწავლება-სწავლის მეთოდები
- დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

+ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
